

# საქტორული ანალიზი

საარჩევნო ბარიერი,  
მისი გამოყენების შედეგები  
და პროგნოზები

**საქსტორი 3**

ჰ ა ბ ი გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს თ ვ ი ს

# მოკლე მიმოხილვა

საქართველოს მოსახლეობა საპარლამენტო არჩევნების მოლოდინშია, რომელიც 2020 წელს უნდა გაიმართოს. საქართველოს კონსტიტუციის მოქმედი რედაქციით პარლამენტის არჩევნები ისევ შერეული საარჩევნო სისტემით უნდა გაიმართოს, რის შემდგომაც გათვალისწინებულია საარჩევნო სისტემის ცვლილება და ნაცვლად მოქმედი შერეული საარჩევნო სისტემისა საქართველოს მოსახლეობას წარმომადგენლობითი ორგანო 2024 წელს პროპორციული სისტემით უნდა აერჩიას.

ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენების შედეგად კვლავ გააქტიურდა მსჯელობა ვადაზე ადრე საპარლამენტო არჩევნების ჩატარებასა და საარჩევნო სისტემის ცვლილებასთან დაკავშირებით. „ქართული ოცნება“ გამოვიდა ინიციატივით, რომ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები ჩატარდეს პროპორციული საარჩევნო სისტემით, ნულოვანი საარჩევნო ბარიერის პირობებში.

შესაბამისად მოცემულ დოკუმენტში ყურადღება გამახვილებულია საარჩევნო სისტემის მნიშვნელობაზე და საარჩევნო ბარიერის, მისი გამოყენების სპეციფიკასა და მოსალოდნელ შედეგებზე.


## რა არის საარჩევნო სისტემა და როგორ განსხვავდება სისტემათა ერთმანეთისგან?

ტერმინი “საარჩევნო სისტემა” მრავალი ექსპერტის მიერ გამოიყენება, მაგრამ სპექტრი იმისა, თუ რას გულისხმობენ ისინი ამ ტერმინის გამოყენებისას, ყოველთვის მკაფიოდ განსაზღვრული არ არის. ერთი მხრივ, ზოგიერთი მას ძალიან ვიწრო გაგებით იყენებს, ძირითადად იმის აღსაწერად, თუ როგორ ხდება ხმის მიცემა პოლიტიკური პარტიებისთვის და როგორ აისახება ეს შემდგომ პარლამენტში მოპოვებულ მანდატებზე, ანუ ეგრეთ წოდებული “მანდატებისა და ხმების კავშირი”. მეორე მხრივ, ეს ტერმინი შეიძლება მოიცავდეს საარჩევნო მოწყობის მთელს სისტემას ქვეყანაში, ანუ ყველაფერს, რაც განსაზღვრულია კონსტიტუციისა და საარჩევნო კანონ(ებ)ის მიერ, სრულიად დეტალურად.

საარჩევნო სისტემა პოლიტიკურ პროცესში ნეიტრალური ფაქტორი არ არის. პოლიტიკის საკითხების განხილვისას, მრავალი რამ უნდა ითქვას უფრო ფართო პერსპექტივის შესახებ, ვინაიდან ქვეყნის პოლიტიკური მოწყობის არა მხოლოდ ერთი ასპექტი, არამედ მთელი მათი სპექტრი უნდა მუშაობდეს ეფექტურად. ამის მიზანია ის, რომ არჩევნები წარმატებული იყოს საზოგადოების მიერ სოციალური არჩევანის იმგვარად გაკეთების თვალსაზრისით, რათა კონფლიქტი თავიდან ავიცილოთ. დღევანდელი განხილვის მიზნებისთვის, ჩვენ საარჩევნო სისტემას განვსაზღვრავთ როგორც წინასწარ გაწერილ პროცესს, როდესაც ერთი წარმომადგენლობითი ორგანოს ირჩევს, რომელიც მისი სამთავრობო სტრუქტურის ნაწილია.

ზოგადად, საარჩევნო სისტემამ უნდა უზრუნველყოს მოსახლეობის სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულების მქონე ჯგუფთა წარმომადგენლობის სამართლიანი არჩევა. სამართლიანად კი მიჩნეულია ისეთი შედეგი, რომლითაც გამარჯვებულად ცხადდება ის, ვინც მეტ ხმას მიიღებს (მაჟორიტარული პრინციპი). ან რომლითაც პარტიის მიერ მოპოვებულ მანდატთა რაოდენობა მის მიღებულ ხმათა რაოდენობის პროპორციულია (პროპორციული პრინციპი). ამის შესაბამისად, საარჩევნო სისტემებიც პირობითად ორ ძირითად ჯგუფად – მაჟორიტარულ და პროპორციულ სისტემებად – იყოფა. გარდა ამისა ფართოდ გამოიყენება შერეული საარჩევნო სისტემაც, რომელიც აერთიანებს მაჟორიტარული და პროპორციული სისტემების ნიშნებს სხვადასხვა ვარიაციებით. არსებობს აგრეთვე სხვა სისტემებიც, რომლებიც ბუნებით შეიძლება განეკუთვნებოდეს მაჟორიტარულს, რეალურ (პრაქტიკულ) მაგალითზე კი უზრუნველყოფდეს პროპორციულ შედეგებს (სხვადასხვა ჯგუფის ფართო წარმომადგენლობას).

საარჩევნო სისტემების განაწილება მსოფლიოში (მონაცემები 217 ქვეყნის მიხედვით<sup>1</sup>)



<sup>1</sup> წყარო: დემოკრატიისა და არჩევნების ხელშეწყობის საერთაშორისო ინსტიტუტი. [www.idea.int](http://www.idea.int)

თითოეული სისტემას (და მათი მრავალრიცხოვან სახესხვაობებაც) გააჩნია განმასხვავებელი ნიშნები. აქვს დადებითი და უარყოფითი მხარეები და ჰყავს მხარდამჭერები. თითოეული საარჩევნო სისტემა ლეგიტიმურია, თუმცა მისი შერჩევა უნდა ხდებოდეს ობიექტური კრიტერიუმის გათვალისწინებით, ხოლო აღნიშნული კრიტერიუმი კი მაქსიმალურად უნდა იყოს შეთანხმებული ჩართულ მხარეებთან.

საარჩევნო სისტემებს გააჩნიათ საკვანძო განმასხვავებელი ნიშნები: საარჩევნო ოლქის სიდიდე, ბიულეტენის სტრუქტურა, საარჩევნო ფორმულა, საარჩევნო ბარიერი (ზღურბლი), პარტიული სიების ტიპი, ასარჩევ დეპუტატთა რაოდენობა და ა.შ. თუმცა პირველ სამ ნიშანს უმთავრეს განმასხვავებელ ნიშნებს უწოდებენ, რომლებითაც საარჩევნო სისტემათა შემქმნელებს შეუძლიათ მანიპულირება საკუთარი ძალისხმევით განხორციელებისას, რაც სასურველი ეფექტის მიღწევაზეა მიმართული.

ქვემოთ განვიხილავთ საარჩევნო სისტემების რამდენიმე განმასხვავებელ ნიშანს.

## საარჩევნო ბარიერი

ყველა საარჩევნო სისტემას წარმომადგენლობის ბარიერი აქვს: ესაა მხარდაჭერის მინიმალური ზღვარი, რომელიც პარტიას ესაჭიროება საკანონმდებლო ორგანოს მანდატების მოსაპოვებლად. ეს ბარიერი შეიძლება კანონის მეშვეობით დაწესდეს (ფორმალური ბარიერი) ან საარჩევნო სისტემის მათემატიკური მახასიათებლის სახით არსებობდეს (ეფექტური ან ბუნებრივი ბარიერი).

## ფორმალური ბარიერი

ფორმალური ბარიერი პროპორციული წარმომადგენლობის სისტემის განმსაზღვრელ კონსტიტუციურ ან სხვა საკანონმდებლო რეგულაციებშია გაწერილი. მაგალითად, გერმანიის, ახალი ზელანდიისა და საქართველოს შერეულ სისტემებში პროპორციული წარმომადგენლობის შემთხვევაში 5% ბარიერია დადგენილი: პარტიები, რომლებიც ქვეყნის მასშტაბით ხმების 5% ვერ დააგროვებენ, პროპორციული სისტემებით მანდატებს ვერ მოიპოვებენ. ეს კონცეფცია გერმანიაში ექსტრემისტული დაჯგუფებების არჩევის შეზღუდვის მიზნით ჩამოყალიბდა და შექმნილია ძალიან მცირე პარტიების მიერ მანდატების მოპოვების თავიდან ასაცილებლად.

ფორმალური ბარიერი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში 2%-დან 10%-მდე მერყეობს. მხარეები, რომლებიც ამ პროცენტულ მაჩვენებელზე ნაკლებ ხმებს დააგროვებენ, გამოეთიშებიან დათვლის პროცესს. ამის თვალსაჩინო მაგალითია 2002 წლის არჩევნები თურქეთში, სადაც 18-იდან 16-მა პარტიამ ვერ შეძლო 10%-იანი ბარიერის გადალახვა და ხმათა 46% უქმად დაიკარგა.

საქართველოში 2016 წელს გამართულ საპარლამენტო არჩევნებში 25-იდან 22-მა პარტიამ ვერ შეძლო 5%-იანი ბარიერის გადალახვა და ხმათა 19.2% უქმად დაიკარგა.

ყველა ამ შემთხვევაში ფორმალური ბარიერის არსებობა ზრდის არაპროპორციულობის ზოგად დონეს. ვინაიდან იკარგება იმ პარტიების მხარდამჭერთა ხმები, რომლებიც სხვა შემთხვევაში გარკვეული მანდატების მოპოვებას შეძლებდნენ.

მაღალი ბარიერი მცირე პარტიების დისკრიმინაციას იწვევს და ხშირად სწორედ ესაა ბარიერის დაწესების მიზანიც. მაგრამ ბევრ შემთხვევაში მცირე პარტიების მიმართ დისკრიმინაცია არასასურველადაა მიჩნეული. განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, სადაც თანაბარი მხარდამჭერთა რაოდენობის მქონე რამდენიმე მცირე პარტია იყოფს საერთო ხმებს და შესაბამისად ბარიერის ქვემოთ აღმოჩნდება, ხოლო ამ დროს სხვა რომელიმე პარტია ხმების საკმარის კომბინირებულ რაოდენობას მიიღებს, რათა საკანონმდებლო ორგანოს მანდატები მოიპოვოს. ამ პრობლემის მოგვარების მიზნით ზოგიერთი ქვეყანა, რომელიც სიით პროპორციულ წარმომადგენლობას იყენებს, მცირე პარტიებს აძლევს საშუალებას საარჩევნო მიზნით გაერთიანდნენ და შექმნან საარჩევნო ბლოკი.

### ფორმალური ბარიერი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში

ბარიერი	ქვეყნების რაოდენობა	ქვეყნები <sup>2</sup>
2%	4	დანია, პალესტინა, ფილიპინები, ბურუნდი
3%/3,25%/3,5%	14	ალბანეთი, არგენტინა, ბოლივია, ბოსნია და ჰერცეგოვინა, კოლუმბია, საბერძნეთი, იტალია, მონტენეგრო, ნეპალი, სამხრეთ კორეა, ესპანეთი, ურუგვაი, ისრაელი, სან მარინო, ინდონეზია
4%/4,76%	8	ავსტრია, ბულგარეთი, აღმოსავლეთ ტიმორი, მოლდოვა, ნორვეგია, სლოვენია, შვედეთი, არუბა
5%	27	ალჟირი, სომხეთი, ბელგია, კამერუნი, ხორვატია, ჩეხეთი, ესტონეთი, ფიჯი, საქართველო, გერმანია, უნგრეთი, ისლანდია, ლატვია, ლიტვა, მონაკო, მონღოლეთი, მოზამბიკი, ახალი ზელანდია, პერუ, პოლონეთი, რუსეთი, რუანდა, რუმინეთი, სერბეთი, სლოვაკეთი, ტაივანი, უკრაინა
7%	1	ყაზახეთი
8%	1	ლიხტენშტეინი
10%	1	თურქეთი

<sup>2</sup> ქვეყნების ჩამონათვალი მოცემულია 2018 წლის მონაცემებით.

## ბუნებრივი ან ეფექტური ბარიერი (ზოგჯერ არაფორმალური ანდა დაფარული ბარიერის სახელწოდებითაც მოიხსენიებენ) საარჩევნო სისტემების მათემატიკური გათვლის შედეგად იქმნება. ტერმინი „ბუნებრივის“ გამოყენება რიგ შემთხვევაში არასწორად მიაჩნიათ, რამეთუ ამ შემთხვევაშიც მანდატების გადანაწილების წესი მოცემულია არჩევნების მომწესრიგებელ ნორმებსა თუ კანონებში. ბუნებრივი ბარიერის დაანგარიშებისას გადამწყვეტი როლი აკისრია საარჩევნო ოლქის სიდიდეს (ასარჩევი ადგილების რაოდენობა). პარტიების მიერ მიღებული მანდატების რაოდენობის დაანგარიშება როგორც წესი ხორციელდება შემდეგი ფორმულით: $(100\% / (\text{ადგილების რაოდენობა} + 1)) + \epsilon$ , სადაც $\epsilon$ ყველაზე დაბალი ხმების რაოდენობაა. მაგალითად, ოლქში, სადაც პროპორციული წარმომადგენლობის სისტემის ფარგლებში ოთხი მანდატია გამოყოფილი, არჩეული იქნება ნებისმიერი კანდიდატი, რომელიც ხმების 20%-ზე მეტს დააგროვებს, ხოლო არჩევის ნაკლები შანსი აქვს კანდიდატს, რომელიც ხმების 10% ნაკლებს დააგროვებს (ზუსტი ციფრი დამოკიდებულია პარტიების, კანდიდატებისა და ხმების კონფიგურაციაზე).

რაც უფრო მეტი წარმომადგენლის არჩევა ხდება ოლქიდან და რაც უფრო დაბალია ბარიერი, მით უფრო პროპორციული იქნება საარჩევნო სისტემა და უმცირესობებისგან შემდგარ პატარა პარტიებს მანდატების მოპოვების უფრო კარგი შანსი ეძლევათ.

სისტემები, რომელიც პროპორციულობის ყველაზე მაღალ ხარისხს აღწევს ძალიან დიდი ზომის ოლქებს იყენებს, ვინაიდან ასეთი ოლქები საკანონმდებლო ხელისუფლებაში ძალიან მცირე პარტიების წარმომადგენლობასაც კი უზრუნველყოფს. უფრო მცირე ოლქებში ეფექტური ბარიერი უფრო მაღალია. მაგალითად, ოლქში, სადაც მხოლოდ სამი წევრი უნდა აირჩეს, პარტიამ სულ მცირე ხმების 25%+1 უნდა მიიღოს მანდატის მოსაპოვებლად. პარტიას, რომელსაც ელექტორატის მხოლოდ 10% მხარდაჭერა აქვს, თითქმის არ აქვს მანდატის მოპოვების შანსი და ამ პარტიის მხარდამჭერთა ხმები, შეიძლება ითქვას, დაკარგულია. ამისგან განსხვავებით, ცხრა მანდატიან ოლქში 10%+1 ხმა პარტიას სულ მცირე ერთი მანდატის მოპოვების გარანტიას აძლევს.

ბუნებრივი ბარიერი გამოიყენება მაკედონიაში, ირლანდიაში, ისლანდიაში, კვიპროსში, ნიდერლანდებში, ფინეთში, სამხრეთ აფრიკაში და პორტუგალიაში.

სისტემები, რომელიც პროპორციულობის ყველაზე მაღალ ხარისხს აღწევს ძალიან დიდი ზომის ოლქებს იყენებს, ვინაიდან ასეთი ოლქები საკანონმდებლო ხელისუფლებაში ძალიან მცირე პარტიების წარმომადგენლობასაც კი უზრუნველყოფს. უფრო მცირე ოლქებში ეფექტური ბარიერი უფრო მაღალია. მაგალითად, ოლქში, სადაც მხოლოდ სამი წევრი უნდა აირჩეს, პარტიამ სულ მცირე ხმების 25%+1 უნდა მიიღოს მანდატის მოსაპოვებლად. პარტიას, რომელსაც ელექტორატის მხოლოდ 10% მხარდაჭერა აქვს, თითქმის არ აქვს მანდატის მოპოვების შანსი და ამ პარტიის მხარდამჭერთა ხმები, შეიძლება ითქვას, დაკარგულია. ამისგან განსხვავებით, ცხრა მანდატიან ოლქში 10%+1 ხმა პარტიას სულ მცირე ერთი მანდატის მოპოვების გარანტიას აძლევს.


ბუნებრივი ბარიერი გამოიყენება მაკედონიაში, ირლანდიაში, ისლანდიაში, კვიპროსში, ნიდერლანდებში, ფინეთში, სამხრეთ აფრიკაში და პორტუგალიაში.

ბუნებრივი ბარიერი გამოიყენება მაკედონიაში, ირლანდიაში, ისლანდიაში, კვიპროსში, ნიდერლანდებში, ფინეთში, სამხრეთ აფრიკაში და პორტუგალიაში.

### საარჩევნო ბარიერი საქართველოში

1990-2016 წლებში

საქართველოს პარლამენტის არჩევნებზე შერეული საარჩევნო სისტემის პროპორციული კომპონენტის პირობებში გამოყენებული საარჩევნო ბარიერი



# საარჩევნო ფორმულა

გარდა საარჩევნო ოლქის სიდიდისა ბუნებრივი ბარიერის დაანგარიშებაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს ასევე ასრულებს საარჩევნო ფორმულა, რომელიც განსაზღვრავს თუ როგორ გარდაისახება მიღებული ხმები მანდატებში. მანდატების გადანაწილებისთვის გამოყენებულ ფორმულას მნიშვნელოვანი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია პროპორციული წარმომადგენლობის შედეგებზე.

ხმების დათვლის შემდეგ მანდატების გამოყოფის სისტემა უმაღლესი საშუალოს ან უდიდეს ნაშთის მეთოდს უნდა ეფუძნებოდეს. უდიდესი ნაშთის მეთოდიდან ძირითადად გავრცელებულია მარტივი (Hare quota) და დრუპის (Drupp) კვოტა, ხოლო უმაღლესი საშუალოს/გამყოფის მეთოდიდან დ'ონდტის (D'Hondt) და სენ-ლაჟეს (Sainte-Laguë) ფორმულა.

## უდიდესი ნაშთის ფორმულა

უდიდესი ნაშთის ფორმულა ყველაზე მარტივია. უპირველეს ყოვლისა უნდა დადგინდეს კვოტა. ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოყენებული კვოტა არის ჰეირის კვოტა (Hare quota), რომლის დასადგენადაც საარჩევნო ოლქში პარტიების მიერ მიღებული ნამდვილი ხმების მთლიანი რაოდენობა იყოფა მანდატების მთლიან რაოდენობაზე. ამის შემდეგ თითოეული პარტიის მიერ მიღებული ხმები იყოფა ამ კვოტაზე და პარტია იღებს იმდენ მანდატს, რამდენი მთელი ციფრიც მიიღება. თუ ამ პროცესის შედეგად კვლავ გასანაწილებელი რჩება მანდატ(ებ)ი, მაშინ მათი გადანაწილება მოხდება ისეთ პარტიებზე, რომლებსაც მორჩენილი ხმების ყველაზე დიდი რაოდენობა გააჩნიათ.

ამ სისტემის ერთი ვარიანტი იყენებს განსხვავებულ, დრუპის (Drupp) კვოტას. ამ შემთხვევაში ხმების მთლიანი რაოდენობა იყოფა მანდატების რაოდენობას +1-ზე. ეს შედარებით უფრო ამცირებს შედეგების პროპორციულობას.

## უმაღლესი საშუალოს/გამყოფის მეთოდი

დ'ონდტის (D'Hondt) ფორმულა მანდატებს ე.წ. გამყოფების გამოყენებით ანაწილებს. თითოეული პარტიის ხმების რაოდენობა რამდენიმე გამყოფის მეშვეობით იყოფა. ამ შემთხვევაში გამყოფებია 1, 2, 3, 4 და ა.შ. ამ გამყოფების შედეგად ხდება ციფრების მიღება, რომელთაც "საშუალო" ეწოდებათ. ყოველთვის, როცა პარტია მიიღებს მანდატს, მისი ხმები იყოფა შემდეგ გამყოფზე და ამ პარტიისთვის ახალი საშუალოს მიღება ხდება. ეს პროცესი გრძელდება მანამ, სანამ ყველა მანდატის დანაწილება არ მოხდება.

სენ-ლაჟეს (Sainte-Laguë) ფორმულა კიდევ ერთი სისტემაა, რომელიც გამყოფებს იყენებს. იგი ძირითადად იმავე მიდგომას ეფუძნება, რასაც დ'ონდტის მეთოდი და მანდატებს ყველაზე მაღალი საშუალოს მქონე პარტიებს ანიჭებს. მაგრამ იგი 1, 2, 3 გამყოფების მაგივრად მხოლოდ კენტ რიცხვებს იყენებს – 1, 3, 5 და ა.შ. ამით მანდატების გადანაწილების უფრო მეტად პროპორციული შედეგები მიიღება.

# სსპა ქვეყნის გამოსვლა და პრაქტიკა

გამომდინარე იქიდან, რომ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების ჩატარება დაგეგმილია პროპორციული საარჩევნო სისტემით, გვსურს საზოგადოებას გავაცნოთ რამდენიმე ქვეყნის მაგალითი, რომელიც იყენებს პროპორციულ საარჩევნო სისტემას, ბუნებრივი საარჩევნო ბარიერით.

## ფინეთი

ფინეთის რესპუბლიკის პარლამენტი, რომელსაც ფინურად ეწოდება Eduskunta, ხოლო Riksdag შვედურად, შედგება 200 წევრისგან, რომლებიც პირდაპირი წესით აირჩევიან საყოველთაო კენჭისყრით ოთხი წლის ვადით.


პარლამენტის წევრები აირჩევიან პროპორციული წესით 14 არათანაბარ მრავალმანდატიან (6-დან 33- მდე ადგილი ოლქში) და ერთ ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში - შვედურად მოლაპარაკე ალანდის კუნძულებზე. პოლიტიკურ პარტიებსა თუ ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფებს უფლება აქვთ წარადგინონ კანდიდატები ანდა კანდიდატთა სიები. პარტიებს შეუძლიათ ჩამოაყალიბონ საარჩევნო ბლოკები, ხოლო საინიციატივო ჯგუფებს შეუძლიათ წარადგინონ ერთიანი სიები. სიები ღიაა და ამომრჩეველი ხმას აძლევს უფრო მეტად ინდივიდუალურ კანდიდატს, ვიდრე მთლიან პარტიულ სიას.

მრავალმანდატიანი ოლქის ადგილები ნაწილდება პროპორციული წარმომადგენლობის უმაღლესი საშუალოს გამოთვლის გზით, დონდტის მეთოდი. პარტიები, რომლებიც გაერთიანდნენ ბლოკში აღიქმებიან ერთ სუბიექტად, ისევე როგორც საინიციატივო ჯგუფები, რომელთაც ერთიანი სია წარადგინეს. არ არსებობს წინასწარ განსაზღვრული ბარიერი ადგილების განაწილებაში მონაწილეობის მისაღებად, თუმცა დონდტის მეთოდის გამოყენებამ თავისთავად წარმოქმნა დეფაქტო ბარიერი ოლქის დონეზე - რომლის გადალახვაც მცირე პარტიებს შეუძლიათ საარჩევნო ალიანსების შექმნის გზით. ერთმანდატიანი ოლქის მანდატის მინიჭება ხდება უბრალო უმრავლესობის საარჩევნო სისტემის გამოყენებით, რომლის პირობებშიც ადგილის მინიჭება ხდება იმ კანდიდატისთვის ვინც მიიღო სხვებზე მეტი ხმა ოლქში.

## არჩევნების მოკლე მიმოხილვა

საპარლამენტო არჩევნები გაიმართა 2019 წლის 14 აპრილს. არჩევნებში მონაწილეობდა 21 პოლიტიკური პარტია, რომელთაგან 9 პარტიამ შეძლო ბარიერის გადალახვა და მანდატის მოპოვება პარლამენტში. თუმცა ვერც ერთმა პარტიამ ვერ შეძლო უმრავლესობის (101 მანდატი) მოპოვება, რამაც გამოიწვია კოალიციური თანამშრომლობის აუცილებლობა. დაიწყო მოლაპარაკებები პარტიებს შორის, საარჩევნო პროგრამით გათვალისწინებულ საკითხებზე, რომელიც გაგრძელდა 2 კვირაზე მეტი. საბოლოოდ მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდა და 6 ივნისს პარლამენტი მუშაობას შეუდგა.





უმრავლესობა (117)

ოპოზიცია (83)

VAS (16)

PS (39)

SDP (40)

KOK (38)

VIHR (20)

KD (5)

KESK (31)

liik (1)


SFP (9)

Åland Coalition (1)

ზოგიერთი ექპერტის შეფასებით კოალიციური მთავრობის პირობებში მთავრობა არამდგრადია და საკანონმდებლო ხელისუფლება დაკნინებულია აღმასრულებელ ხელისუფლებასთან მიმართებაში. მიუხედავად იმისა, რომ ფინეთის საკანონმდებლო ორგანოში სხვადასხვა შეხედულების მქონე პოლიტიკურ ჯგუფთა ფართო წარმომადგენლობაა და მთავრობა კოალიციურია, აღნიშნული სისტემის ფარგლებში დემოკრატია ეფექტურად ფუნქციონირებს და ქვეყანაში სრული დემოკრატიული მმართველობაა. აღნიშნულ შეფასებას საფუძვლად უდევს დემოკრატიის ინდექსი, რომელიც ზომავს დემოკრატიის დონეს მსოფლიოს ქვეყნებში.

### განვითარების მაჩვენებლები

ფინეთი მსოფლიო ქვეყნების დემოკრატიის ინდექსით<sup>3</sup> 8 ადგილზეა და სრულად დემოკრატიულ ქვეყნად ითვლება. დემოკრატიის დონე საარჩევნო პროცესის, მთავრობის ფუნქციონირების, პოლიტიკაში მონაწილეობისა და პოლიტიკური კულტურის მიხედვით არის განსაზღვრული.

დემოკრატიის ინდექსი								
ადგილი	ქვეყანა	შეფასება	საარჩევნო პროცესები და პლურალიზმი	მთავრობის ფუნქციონირება	პოლიტიკური მონაწილეობა	პოლიტიკური კულტურა	სამოქალაქო უფლებები	დემოკრატიის ტიპი
8	 ფინეთი	9.14	10.00	8.93	8.33	8.75	9.71	სრული დემოკრატია

<sup>3</sup> 2018 წლის მონაცემი. მსოფლიოს ქვეყნების დემოკრატიის ინდექსი ხუთ მნიშვნელოვან კრიტერიუმს ეყრდნობა: საარჩევნო პროცესსა და პლურალიზმს, სამოქალაქო უფლებებს, მთავრობის ფუნქციონირებას, პოლიტიკურ აქტივობასა და პოლიტიკურ კულტურას. ქვეყნები დაჯგუფებულია დემოკრატიის ტიპების მიხედვით: სრული დემოკრატია, არასრული დემოკრატია, ჰიბრიდული ანუ გარდამავალი რეჟიმი და ავტორიტარული რეჟიმი.

აღნიშნული შეფასებიდან ჩანს, რომ ქვეყანაში წარმომადგენლობითი დემოკრატიაა, ძალაუფლება გადანაწილებულია ხელისუფლების სხვადასხვა შტოს შორის და უზრუნველყოფილია წარმომადგენლობითობა. მთავრობის ფუნქციონირება შეფასებულია 8.93 ინდექსით, რაც მიუთითებს იმაზე, რომ გადაწყვეტილებები მიიღება დემოკრატიული მეთოდების გამოყენებით, რომლის დროსაც კრიტიკული მოსაზრებები და განსხვავებული შეხედულებები მაქსიმალურად გათვალისწინებულია.

მაღალია პოლიტიკურ პროცესებში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის ინდექსი. ქვეყანა ხასიათდება მდგრადი განვითარებით, ვინაიდან ძალაუფლება გადანაწილებულია სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით.

გლობალიზაცია	საზოგადოების განვითარება	ინოვაციები	ეკონომიკური თავისუფლება	ქალთა წარმომადგენლობა
<p>გლობალიზაციის KOF ინდექსით<sup>4</sup>, ფინეთი ქვეყნებს შორის მე-10 ადგილზეა (ერთიანი ინდექსი 86.99). მათ შორის: ეკონომიკური გლობალიზაციის ინდექსით მე-18 ადგილზეა (81.7), სოციალური გლობალიზაციის ინდექსით 22-ე ადგილზე (85.62) და პოლიტიკური გლობალიზაციის ინდექსით მე-13 ადგილზე (93.65). აღნიშნული მაჩვენებლები მიუთითებს იმაზე, რომ ფინეთი პოლიტიკური გლობალიზაციის კუთხით მეტი აქტიურობით გამოირჩევა.</p>	<p>ადამიანის (ჰუმანური, საზოგადოებრივი) განვითარების ინდექსით<sup>5</sup> (HDI), ფინეთი მსოფლიოს ქვეყნებში მე-15 ადგილზეა (მაჩვენებელი 0.920) და განვითარებულ ქვეყნებთან რიცხვს მიეკუთვნება. ეს შეფასება ეხება ადამიანთა შესაძლებლობების ზრდის პროცესს, შემოსავლების ზრდას, დასაქმებას, განათლების მისაღებად უკეთესი პირობების შექმნას, ჯანდაცვას და ა. შ</p>	<p>ინოვაციის გლობალური ინდექსით, რომელიც გვიჩვენებს მსოფლიოს ქვეყნების რეიტინგს ინოვაციების განვითარების დონის მიხედვით, ფინეთი მე-7 ადგილზეა და ქვეყანაში ინოვაციების განვითარების ეფექტურობის ხელშეწყობის კუთხით ითვლება ერთ-ერთ წარმატებულ ქვეყანად.</p>	<p>ეკონომიკური თავისუფლების ინდექსით<sup>6</sup>, ფინეთი მე-20 ადგილზეა (74.9) და გააჩნია „ძირითადად თავისუფალი“ ეკონომიკის მქონე ქვეყნის სტატუსი.</p>	<p>ფინეთი საკანონმდებლო ორგანოში ქალთა წარმომადგენლობის კუთხით 12 ადგილზეა, 200 წევრიდან 83 ქალია (41.5%)</p>

<sup>4</sup> KOF ინდექსი ამა თუ იმ ქვეყნის მსოფლიო სივრცეში ინტეგრირების ხარისხის შესაფასებლად გამოიყენება, რომელიც ზომავს სამ ძირითად მაჩვენებელს: ეკონომიკას, სოციალურ მდგომარეობას და პოლიტიკას. ერთიან KOF ინდექსში ეკონომიკური, სოციალური მდგომარეობის და პოლიტიკური გლობალიზაციის ინდექსებს აქვს თანაბარი 33.3% წილი.

<sup>5</sup> ადამიანის განვითარების ინდექსი (HDI), გვიჩვენებს თუ რა საფეხურზეა ესა თუ ის სახელმწიფო საზოგადოების განვითარების კუთხით. აღნიშნული ინდექსი მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნისთვის წარმოადგენს მისი განვითარების ინდიკატორს და მოიცავს ამ განვითარების ისეთ საზომებს, როგორებიცაა: სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა; განათლების დონე და მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით.

<sup>6</sup> ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი ათ კრიტერიუმს ემყარება. ესენია: ბიზნესის თავისუფლება, ვაჭრობის თავისუფლება, ფისკალური თავისუფლება, სამთავრობო დანახარჯები, მონეტარული თავისუფლება, ინვესტიციების თავისუფლება, ფინანსური თავისუფლება, საკუთრების უფლებები, კორუფციისგან თავისუფლება, შრომის თავისუფლება.


# ნიდერლანდები

ნიდერლანდები საპარლამენტო დემოკრატიის უნიტარული სახელმწიფოა. პარლამენტი, რომელსაც მათივე ენაზე ეწოდება Tweede Kamerlid, არის ორპალატიანი ორგანო (ზედა პალატა - სენატი და ქვედა პალატა - წარმომადგენელთა პალატა). პარლამენტის ქვედა პალატას ოთხი წლით ირჩევენ და ის 150 ადგილისგან შედგება. სწორედ ქვედა პალატას აქვს საკანონმდებლო ინიციატივის და კანონში შესწორებების შეტანის უფლება. მთავრობას საპარლამენტო უმრავლესობა აკომპლექტებს.

საპარლამენტო არჩევნებისთვის ქვეყანა იყოფა ოც მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქად. პარლამენტის 150 წევრი აირჩევა პროპორციული სისტემით. ფორმალური ბარიერი პარლამენტში ადგილების მოსაპოვებლად დადგენილი არ არის. თუმცა კანონმდებლობით განსაზღვრულია, რომ პირველი ადგილი არასდროს უნდა დარჩეს შეუვსებელი. შესაბამისად „ბუნებრივი ბარიერი“ შედგენს 1/150-ს (0.67%). მანდატების განაწილება ხდება ერთიან ეროვნულ დონეზე იმ პარტიებს შორის, ვინც გადალახა 0.67%-იანი ბარიერი.

## არჩევნების მოკლე მიმოხილვა

ბოლო საპარლამენტო არჩევნები გაიმართა 2017 წელს. არჩევნებში მონაწილეობდა 28 პოლიტიკური პარტია, რომელთაგან 13-მა შეძლო ბარიერის გადალახვა და მანდატის მოპოვება წარმომადგენელთა პალატაში. თუმცა ვერც ერთმა პარტიამ ვერ შეძლო უმრავლესობის (76 მანდატი) მოპოვება, რამაც გამოიწვია პოტენციურ კოალიციურ პარტნიორებთან შეთანხმების და თანამშრომლობის აუცილებლობა. იმისათვის, რომ შექმნილიყო ისეთი მთავრობა, რომელსაც საპარლამენტო უმრავლესობა გაუმაგრებდა ზურგს, სულ მცირე ოთხი პარტიის მონაწილეობა იყო საჭირო. ტრადიციულად, ეს პროცესი თვეების განმავლობაში გაგრძელდა. არჩევნების შედეგებით წარმომადგენლობა ყველაზე მეტად 2017 წელს იყო ფრაგმენტირებული.



### უმრავლესობა (76)


- VVD (33)
- CDA (19)
- D66 (19)
- CU (5)

### ოპოზიცია (83)

- PVV (20)
- GL (14)
- SP (14)
- PvdA (9)
- PvdD (5)
- 50PLUS (4)
- SGP (3)
- DENK (3)
- FvD (2)

## განვითარების მარკინებლები

მსოფლიო ქვეყნების დემოკრატიის ინდექსით ნიდერლანდები 11 ადგილზეა და სრულად დემოკრატიულ ქვეყნად ითვლება.

დემოკრატიის ინდექსი								
ადგილი	ქვეყანა	შეფასება	საარჩევნო პროცესები და პლურალიზმი	მთავრობის ფუნქციონირება	პოლიტიკური მონაწილეობა	პოლიტიკური კულტურა	სამოქალაქო უფლებები	დემოკრატიის ტიპი
11	 ნიდერლანდები	8.89	9.58	9.29	8.33	8.13	9.12	სრული დემოკრატია

მსგავსად ფინეთისა ნიდერლანდებში წარმომადგენლობითი დემოკრატიაა. ქვეყნის მარკინებლები საარჩევნო პროცესების და პლურალიზმის, სამოქალაქო უფლებების, მთავრობის ფუნქციონირების, პოლიტიკურ აქტივობებისა და პოლიტიკური კულტურის დონის მხრივ საკმაოდ მაღალია. ხორციელდება ძალაუფლების კონტროლი და დაცულია წონასწორობა.

გლობალიზაცია	საზოგადოების განვითარება	ინოვაციები	ეკონომიკური თავისუფლება	ქალთა წარმომადგენლობა
<p>გლობალიზაციის KOF ინდექსით, ნიდერლანდები მსოფლიო ქვეყნებს შორის მე-2 ადგილზეა (ერთიანი ინდექსი 90.97). მათ შორის: ეკონომიკური გლობალიზაციის ინდექსით მე-2 ადგილს იკავებს (89), სოციალური გლობალიზაციის ინდექსით მე-18 ადგილზეა (86.44) და პოლიტიკური გლობალიზაციის ინდექსით მე-4 ადგილზე (97.45). აღნიშნული მარკინებლები მიუთითებს იმაზე, რომ ნიდერლანდები ეკონომიკური და პოლიტიკური გლობალიზაციის კუთხით მეტი აქტიურობით გამოირჩევა.</p>	<p>ადამიანის (ჰუმანური, საზოგადოებრივი) განვითარების ინდექსით (HDI), ნიდერლანდები მსოფლიოს ქვეყნებში მე-10 ადგილზეა (მარკინებელი 0.931) და განვითარებულ ქვეყნებთან რიცხვს მიეკუთვნება</p>	<p>ინოვაციის გლობალური ინდექსით, რომელიც გვიჩვენებს მსოფლიოს ქვეყნების რეიტინგს ინოვაციების განვითარების დონის მიხედვით, ნიდერლანდები მე-2 ადგილზეა და ქვეყანაში ინოვაციების განვითარების ეფექტურობის ხელშეწყობის კუთხით ითვლება ერთ-ერთ ლიდერ ქვეყნად</p>	<p>ეკონომიკური თავისუფლების ინდექსით, ნიდერლანდები მე-13 ადგილზეა (76.8) და გააჩნია „ძირითადად თავისუფალი“ ეკონომიკის მქონე ქვეყნის სტატუსი</p>	<p>ნიდერლანდები საკანონმდებლო ორგანოში ქალთა წარმომადგენლობის კუთხით 42 ადგილზეა, 150 წევრიდან 47 ქალია (31.3%)</p>

# ბუნებრივი ბარიერის გამოყენების შესაძლებლობა საქართველოში

იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოში მოქმედი საარჩევნო სისტემა ვერ უზრუნველყოფს წარმადგენლობით დემოკრატias, ერთ-ერთი გამოსავალი (როგორც დროებითი ღონისძიება) შესაძლოა ბუნებრივი საარჩევნო ბარიერის დაწესება იყოს. საქართველოში ე.წ. „ნულოვანი“ ფორმალური ბარიერის გამოყენება ქვეყნის პოლიტიკურ ძალთა შეთანხმების და საერთო პოლიტიკური ნების შედეგია, რომელიც საჭიროებს საკანონმდებლო ცვლილებებს როგორც კონსტიტუციაში, ასევე საარჩევნო ნორმების მომწესრიგებელ კანონებსა თუ აქტებში. ამავდროულად მნიშვნელოვანია, საკანონმდებლო ორგანოში დასულ იქნეს წარმომადგენლობითობის და პროპორციულობის ხარისხი, რაც დამოკიდებულია მანდატების განაწილების მოდელზე პოლიტიკურ პარტიებს შორის.

ქვემოთ განხილულია სხვადასხვა საარჩევნო ფორმულის გამოყენებით მანდატების განაწილების შესაძლო შემთხვევები. ანალიზისთვის აღებულ იქნა 2016 წელს გამართული საქართველოს პარლამენტის არჩევნების შედეგები (პარტიული სიით), რომლის მიხედვითაც დაანგარიშებულ იქნა მანდატების განაწილების სავარაუდო მაჩვენებლები სხვადასხვა საარჩევნო ფორმულის გამოყენებით. კერძოდ უდიდესი ნაშთის მეთოდიდან აღებულ იქნა მარტივი (Hare quota) და დრუპის (Droop) კვოტა, ხოლო უმაღლესი საშუალოს/გამყოფის მეთოდიდან დ'ონდტის (D'Hondt) და სენ-ლაჟეს (Sainte-Laguë) ფორმულა.

რიგითი N	საარჩევნო სუბიექტი	2016 წლის შედეგები					
		ხმა	%	სულ მანდატი	%	მანდატი მაჟორიტ.	მანდატი პროპორც.
1	"პატა ბურჟუაზი - სახელმწიფო ხალხისთვის"	60681	3.45%				
2	პ/გ "პროგრესული - დემოკრატიული მოძრაობა"	1010	0.06%				
3	ნინო ბურჯანაძე-დემოკრატიული მოძრაობა	62166	3.53%				
4	პ/გ "ქართული დასი"	2182	0.12%				
5	"ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"	477053	27.11%	27	18.0%		27
6	"საქართველოს რესპუბლიკური პარტია"	27264	1.55%				
7	პარტია "მამული, ენა, სარწმუნოება"	2805	0.16%				
8	"დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული ოპოზიცია"	88097	5.01%	6	4.0%		6
10	საქართველოს ლეიბორისტული პარტია	55208	3.14%				
11	პ/გ "სახალხო ხელისუფლება"	810	0.05%				
12	პ/გ "საქართველოს კომუნისტური პარტია"	1757	0.10%				
14	პ/გ "საქართველოს მშვიდობისათვის"	3824	0.22%				
15	პ/გ "შშრომელთა სოციალისტური პარტია"	662	0.04%				
16	პ/გ საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია	1467	0.08%				
17	პ/გ - პარტია "საქართველო"	1548	0.09%				
18	პ/გ "ქართული იდეა"	2916	0.17%				
19	"თოფაძე-მრეწველები, ჩვენი სამშობლო"	13788	0.78%	1	0.7%	1	
22	პ/გ მერაბ კოსტავას საზოგადოება	966	0.05%				
23	"წვენიერი -სახალხო პარტია"	1595	0.09%				
25	პ/გ "ემმარცხენე ალიანსი"	699	0.04%				
26	პ/გ "ეროვნული ფორუმი"	12763	0.73%				
27	პ/გ "თავისუფალი დემოკრატები"	81464	4.63%				
28	პ/გ "სამართლიანობის აღდგენის კავშირი ხმა ერისა: უფალია ჩვენი სიმართლე"	1467	0.08%				
30	პ/გ "ეროვნულ დემოკრატიული მოძრაობა"	802	0.05%				
41	პ/გ "ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"	856638	48.68%	115	76.7%	71	44

ხმები 2016	Sainte-Lague		d'Hondt		Hare-Niemeyer		Droop Quota	
	შესაძლო მანდატი	%	შესაძლო მანდატი	%	შესაძლო მანდატი	%	შესაძლო მანდატი	%
60681	5	3.33%	5	3.33%	5	3.33%	5	3.33%
1010	0		0		0		0	
62166	5	3.33%	5	3.33%	6	4.00%	5	3.33%
2182	0		0		0		0	
477053	41	27.33%	42	28.00%	41	27.33%	41	27.33%
27264	2	1.33%	2	1.33%	2	1.33%	2	1.33%
2805	0		0		0		0	
88097	8	5.33%	7	4.67%	8	5.33%	8	5.33%
55208	5	3.33%	4	2.67%	5	3.33%	5	3.33%
810	0		0		0		0	
1757	0		0		0		0	
3824	0		0		0		0	
662	0		0		0		0	
1467	0		0		0		0	
1548	0		0		0		0	
2916	0		0		0		0	
13788	1	0.67%	1	0.67%	1	0.67%	1	0.67%
966	0		0		0		0	
1595	0		0		0		0	
699	0		0		0		0	
12763	1	0.67%	1	0.67%	1	0.67%	1	0.67%
81464	7	4.67%	7	4.67%	7	4.67%	7	4.67%
1467	0		0		0		0	
802	0		0		0		0	
856638	75	50.00%	76	50.67%	74	49.33%	75	50.00%

საქართველოს პარლამენტში ინიცირებული კონსტიტუციური კანონის პროექტის<sup>7</sup> მიხედვით საარჩევნო ფორმულა განისაზღვრა შემდეგნაირად: „საქართველოს პარლამენტის მომდევნო არჩევნების შედეგად პოლიტიკური პარტიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობის დასადგენად, პოლიტიკური პარტიის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა მრავლდება 150-ზე და იყოფა არჩევნებში მონაწილე ყველა პოლიტიკური პარტიის მიერ მიღებული ხმების ჯამზე. მიღებული რიცხვის მთელი ნაწილი არის პოლიტიკური პარტიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობა. თუ პოლიტიკური პარტიების მიერ მიღებული მანდატების რაოდენობათა ჯამი 150-ზე ნაკლებია, გაუნაწილებელ მანდატებს თანმიმდევრობით მიიღებენ უკეთესი შედეგის მქონე პოლიტიკური პარტიები. საქართველოს პარლამენტის მომდევნო არჩევნების შედეგად მანდატს (მანდატებს) მიიღებს ყველა ის პოლიტიკური პარტია, რომელიც მიიღებს სულ მცირე ერთი მანდატის მისაღებად საკმარისი ხმების რაოდენობას“.

აღნიშნული ფორმულის გათვალისწინებით, მანდატების შესაძლო განაწილება 2016 წელს გამართული საქართველოს პარლამენტის არჩევნების შედეგების მიხედვით მოცემულია ცხრილში.

რიგითი N	საარჩევნო სუბიექტი	2016 წლის შედეგები					
		ხმა	%	სულ მანდატი	%	მანდატი მაჟორიტ.	მანდატი პროპორც.
1	"პატა ბურჟულაძე - სახელმწიფო ხალხისთვის"	60681	3.45%				
2	პ/გ "პროგრესულ-დემოკრატიული მოძრაობა"	1010	0.06%				
3	ნინო ბურჯანაძე-დემოკრატიული მოძრაობა	62166	3.53%				
4	პ/გ "ქართული დასი"	2182	0.12%				
5	"ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"	477053	27.11%	27	18.0%		27
6	"საქართველოს რესპუბლიკური პარტია"	27264	1.55%				
7	პარტია "მამული, ენა, სარწმუნოება"	2805	0.16%				
8	"დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული ოპოზიცია"	88097	5.01%	6	4.0%		6
10	საქართველოს ლეიბორისტული პარტია	55208	3.14%				
11	პ/გ "სახალხო ხელისუფლება"	810	0.05%				
12	პ/გ "საქართველოს კომუნისტური პარტია"	1757	0.10%				
14	პ/გ "საქართველოს მშვიდობისათვის"	3824	0.22%				
15	პ/გ "მშრომელთა სოციალისტური პარტია"	662	0.04%				
16	პ/გ საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია	1467	0.08%				
17	პ/გ - პარტია "საქართველო"	1548	0.09%				
18	პ/გ "ქართული იდეა"	2916	0.17%				
19	"თოფაძე- მრეწველები, ჩვენი სამშობლო"	13788	0.78%	1	0.7%	1	
22	პ/გ მერაბ კოსტავას საზოგადოება	966	0.05%				
23	"ჩვენები -სახალხო პარტია"	1595	0.09%				
25	პ/გ "მემარცხენე ალიანსი"	699	0.04%				
26	პ/გ "ეროვნული ფორუმი"	12763	0.73%				
27	პ/გ "თავისუფალი დემოკრატები"	81464	4.63%				
28	პ/გ "სამართლიანობის აღდგენის კავშირი ხმა ერისა: უფალია ჩვენი სიმართლე"	1467	0.08%				
30	პ/გ "ეროვნულ დემოკრატიული მოძრაობა"	802	0.05%				
41	პ/გ "ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"	856638	48.68%	115	76.7%	71	44

ხმები 2016	საქართველოს პარლამენტში ინიცირებული პროექტი	
	მანდატების შესაძლო განაწილება	%
60681	6	4.00%
1010	0	
62166	6	4.00%
2182	0	
477053	41	27.33%
27264	2	1.33%
2805	0	
88097	8	5.33%
55208	4	2.67%
810	0	
1757	0	
3824	0	
662	0	
1467	0	
1548	0	
2916	0	
13788	1	0.67%
966	0	
1595	0	
699	0	
12763	1	0.67%
81464	7	4.67%
1467	0	
802	0	
856638	74	49.33%

<sup>7</sup> <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/225441?>



როგორც ანალიზიდან ჩანს 2016 წელს შერეული საარჩევნო სისტემის გამოყენებით ფორმალური 5%-იანი ბარიერი გადალახა და საკანონმდებლო ორგანოში ადგილები მოიპოვა სამმა პოლიტიკურმა გაერთიანებამ. მოცემულ შემთხვევაში დაიკარგა 337 844 ამომრჩევლის ხმა (ხმების 19,4 %) და 22 პოლიტიკურმა პარტიამ მიუხედავად მცირე მხარდაჭერისა ვერ მოიპოვა ვერც ერთი მანდატი. პარლამენტში შეიქმნა „ორპოლუსიანი“ პოლიტიკური სივრცე. აღნიშნული გარემოებები, მაღალი ბარიერის პირობებში ამ სისტემის გამოყენების ერთ-ერთ უარყოფით თვისებად აღიქმება.

ფორმალური ბარიერის არ არსებობის შემთხვევაში მიიღწევა რადიკალურად განსხვავებული შედეგი. როგორც ანალიზიდან ჩანს, აღნიშნულ შემთხვევაში ბარიერი გადალახა და საკანონმდებლო ორგანოში ადგილები მოიპოვა 25-იდან 10-მა პარტიამ. დაიკარგა მხოლოდ 24 510 ამომრჩევლის ხმა (ხმების 1,4 %) და დამატებით შვიდმა პოლიტიკურმა პარტიამ, მიუხედავად ამომრჩეველთა მცირე მხარდაჭერისა, მაინც მოიპოვა მანდატი.

ანალიზიდან ჩანს, რომ სხვადასხვა საარჩევნო ფორმულის გამოყენება უზრუნველყოფს მანდატების მცირედად განსხვავებულ გადანაწილებას.

## **ძირითადი მიზნები:**

- ჰარეს კვოტის გამოყენებით უპირატესობა უფრო საშუალო ზომის პარტიას მიენიჭება დიდი პარტიის ხარჯზე;
- დ`ონდტის მეთოდით უპირატესობა უფრო დიდი ზომის პარტიას მიენიჭება მცირე პარტიის ხარჯზე;
- სენ-ლაჟეს ფორმულამ და დრუპის კვოტამ მანდატების გადანაწილების უფრო მეტად პროპორციული შედეგები უზრუნველყო და მეტნაკლებად შეამცირა დიდი პარტიებისადმი მიკერძოებულობის ხარისხი.
- საქართველოს პარლამენტში ინიცირებული კონსტიტუციური კანონის პროექტით გათვალისწინებული საარჩევნო ფორმულა უფრო მეტად უზრუნველყოფს ჰარეს კვოტის მსგავს შედეგებს (ოდნავ მოდიფიცირებულს).

ფინეთისა და ნიდერლანდების მაგალითი გვიჩვენებს, რომ პროპორციული საარჩევნო სისტემის გამოყენებით, ბუნებრივი საარჩევნო ბარიერის პირობებში ძალაუფლება გადანაწილებულია ხელისუფლების სხვადასხვა შტოს შორის და გადაწყვეტილებების მიღებისას გათვალისწინებულია კრიტიკული მოსაზრებები და განსხვავებული შეხედულებები. ამით უზრუნველყოფილია წარმომადგენლობითობა, ხორციელდება ძალაუფლების კონტროლი და დაცულია წონასწორობა, რაც მთლიანობაში დემოკრატიული განვითარების საწინდარია.

# შეფასება

## ზამთრის მდგომარეობის მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომელიც:

- მდგომარეობის მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება გარდაცემული მდგომარეობის, რის გამოც თავიდან იქნა აცილებული არასტაბილური თუ უსამართლო შედეგები, რომელიც შეიძლება სისტემაში წარმოქმნას. მიწვევებზე იქნა დაყვანილი "ზონის მდგომარეობის" შესაძლებლობა დიდი პარტიებისთვის, ხოლო მდგომარეობის კონკრეტული ხელისუფლებაში შედგება ხმების მდგომარეობის რაოდენობითაც შექმნას.
- მდგომარეობის მნიშვნელოვანი ცვლილებები დაიკარგა მხოლოდ ხმების მდგომარეობის ნაწილი. თითქმის ყველა ამომრჩევლის ხმა, სასურველი კანდიდატის არჩევინებას მიეძღვნა. ეს ზრდის ამომრჩევლის რაოდენობას, რომ ნამდვილად ღირს არჩევნების დღეს საარჩევნო უბანზე მისვლა, ვინაიდან უფრო დაწინაურებული პირები, რომ მათი ხმა ნამდვილად მოახდინებს თუნდაც მდგომარეობის ზეგავლენას არჩევნების შედეგებზე.
- ხუნძრის მნიშვნელოვანი ცვლილებები მხარდაჭერის მქონე პარტიებს წარმოადგენლობის შესაძლებლობა მისცა. ნებისმიერ პოლიტიკურ პარტიას, რომელსაც ხმების მდგომარეობის პროცენტები მიიღო გააჩნია, შეუძლია სპონსორული ხელისუფლებაში წარმოადგენლობის მოპოვება. ეს ინკლუზიის პრინციპს უწყობს ხელს, რომელიც შესაძლოა აუცილებელი იყოს გაყოფილ საზოგადოებაში სტაბილურობის მიღწევის მიზნით, ხოლო უკვე დაფუძნებული დემოკრატიის შენახვაში გარკვეული სარგებელი მოაქვს გადაწყვეტილებების მიღების კუთხითაც. პარტიებს უფრო მეტი საშუალება მიეცემათ მოახდინონ კომპეტენტური ახალი სახეების რეკრუტირება და მათი პოლიტიკაში ჩართვა.
- ქმნის უფრო უწყვეტ და სტაბილურ პოლიტიკას. ფართო პროკორსიული წარმომადგენლობითი პოლიტიკური მთავრობა გადაწყვეტილების მიღების დროს სტაბილურობას და შეთანხმებულ პროცესებს უწყობს ხელს, რაც ეროვნული განვითარების საშუალებას იძლევა.
- დიდია ძალების და უმცირესობების არჩევინების შანსი. პარტიებს შეუძლიათ სიის გამოყენება ქალი პოლიტიკოსების ხელშეწყობის მიზნით. ამომრჩევლებს საშუალება ექვთ აირჩიონ მდგომარეობითი სქემის კანდიდატები და აკავდრთულად არჩევანი მიიღონ პოლიტიკური და არა გენდერული მოსახრებებიდან გამომდინარე გააკეთონ.



## თუმცა ბუნებრივი ბარიერის გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს:

- კოალიციური მთავრობის საჭიროება, რომელიც, თავის მხრივ საკანონმდებლო ჩაკეტილობასა და თანმიმდევრული პოლიტიკის შექმნის შეუძლებლობას იწვევს. სწრაფი და თანმიმდევრული გადაწყვეტილებების მიღება შესაძლოა გარკვეულწილად შეფერხდეს კოალიციური ჯგუფების და ეროვნული ერთიანი მთავრობის მიერ, რომელიც დაყოფილია ფრაქციებად.
- პარტიის სისტემის ფრაგმენტაცია. შესაძლოა, რომ ექსტრემალური კლურალიზმის შემთხვევაში კატარა უმცირესობების კარტიზმმა დიდ პარტიებს კოალიციური მოლაპარაკებების დროს გარკვეული გამოსასყიდი მოსთხოვონ. ამ თვალსაზრისით პროკორციული წარმომადგენლობის ინკლუზიურობა სისტემის უარყოფით მხარედ უფრო სახელდება.
- მცირე პარტიების დიდი ძალაუფლება. დიდი პარტიები იძულებულნი არიან გაცდილობით მცირე პარტიებთან შექმნან კოალიციები და ამ შემთხვევაში ამომრჩეველთა მცირე პროცენტის მხარდაჭერის მქონე პარტიებს ძალაუფლება ეძლევათ ვებო დაადონ ისეთ შერეულთაგანებს, რომელიც უფრო დიდი პარტიებიდან მოდის.

საარჩევნო სისტემის ცვლილებისა და დემოკრატიული განვითარების გზაზე გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ სოციალურ ფენებს შორის ძლიერი უთანასწორობა ეკონომიკური მდგომარეობის მხრივ უარყოფითად მოქმედებს დემოკრატიზაციაზე. წამომადგენლობითი დემოკრატიის ფუნქციონირებისთვის აუცილებელია საშუალო ფენა, სამოქალაქო საზოგადოება. იმ ქვეყნებში, სადაც მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი საშუალო ფენას მიეკუთვნება (საშუალო ფენის მთავარი დამახასიათებელი ნიშნებია სათანადო შემოსავლები და განათლების დონე), პოლიტიკური რეჟიმი გაცილებით დემოკრატიულია. ამის კარგი მაგალითია ფინეთი, რომელიც ჩვენ ზემოთ განვიხილეთ. სადაც საშუალო ფენის ყველაზე დიდი პროცენტულობაა და დემოკრატიული ქვეყნების პირველ ათეულშია.